საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

# საარქივო აუდიოჩანაწერები
# Archival audio recordings

## კასპი, ქვემო ჭალა
## Kaspi, Kvemo chala

## ფოლკლორული ანსამბლი ქართლი
## Folk ensemble Kartli

იოსებ და ნადია ისერგიშვილები
Ioseb and Nadia Isergishvilis

თბილისი 2016 Tbilisi

კომპაქტდისკზე წარმოდგენილია საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საარქივო აუდიოჩანაწერები. მათი უმრავლესობა კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ჭალის ფოლკლორული ანსამბლის „ქართლის" სიმღერაა. სამწუხაროდ, ჩვენ მიერ ჯგუფის დაფიქსირებისას (2009წ., კასპი) უკვე გარდაცვლილები იყვნენ მისი პირველი ხელმძღვანელი ალექსანდრე მენაბდიშვილი (1930-2004) და წამყვანი წევრი სერგო გახელაძე (1924-2007), რომლებმაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს ანსამბლის შემოქმედებით ბიოგრაფიაში. ამ სიცარიელის შესავსებად დისკზე შეტანილია მათი ნამღერი („ურმული" და „სებრო, სებრო"), ჩაწერილი ეთნომუსიკოლოგ მალხაზ ერქვანიძისა და ლოტბარ დავით უზნაძის მიერ (2000წ., ქვემო ჭალა). სოფლის სასიმღერო ტრადიციების უკეთ გასაცნობად კომპაქტდისკზე ასევე წარმოდგენილია ქვემოჭალელი მოხუცი და-ძმის – იოსებ (ოსე) ისერგიშვილისა და ნადია ისერგიშვილი-ზარიძის მიერ შესრულებული რამდენიმე ნიმუში საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისავე აუდიოჩანაწერებიდან (2010წ., ქვემო ჭალა); მით უმეტეს, რომ ქართლში კარგა ხნის წინ მივიწყებული ეს სიმღერები (განსაკუთრებით, ქალთა ტრადიციული საწესო რეპერტუარის „იავნანო" და „ლაზარ მოდგა კარსაო") ღირებულია საკვლევადაც და შესასრულებლადაც.

შიდა ქართლში, ლეხურის ნაპირებზე მდებარე სოფელი ქვემო ჭალა მთელ საქართველოშია ცნობილი თავისი მდიდარი სამგალობლო წარსულით – სწორედ აქედან, საამილახვროდან არიან სასულიერო მოღვაწეები და მგალობლები – კარბელაშვილები, რომელთა საგვარეულომაც შემოგვინახა ქართლ-კახური გალობის ერთ-ერთი კილო (ამის გამო იგი „კარბელაანთ კილოდაც" იწოდება). გასაკვირი არ იქნებოდა, რომ ასეთ სოფელს ხალხური სასიმღერო ტრადიციაც შესაბამისი ჰქონოდა: ქართველი კაცის ყოფაში ხომ სიმღერა და გალობა ერთიმეორისგან განუყოფელია... სწორედ ამას ადასტურებს ჩამონათვალი სიმღერებისა, რომლებიც ძმებ კარბელაშვილებს – ანდრიას, პოლიევქტოსსა და ვასილს – 1864 წელს სხვილოს ციხესთან გამართულ ზეიმზე შეუსრულებიათ: „ყურშაო", „ვინცა კაცია", „ღიღინი", „გვიბრძანე", „ზამთარი", „თამარ მეფე", „შავლეგო", „ესო მესო" და სხვ. (სოფიო ანდღულაძე, „ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი (ვასილ კარბელაშვილი)". თბილისი, 2006).

სასიმღერო ტრადიციები ქვემო ჭალაში მე-20 საუკუნის II ნახევარშიც იყო შემორჩენილი: ადგილობრივთა ცნობით, ამ სოფლის მკვიდრები – ზაქარია და ვალოდია ზაქარიაშვილები, თადეულა და შოთა ჭეხაშვილები, ცაცო გორჯოლაძე, ოსე

ისერგიშვილი და სხვები – პატარ-პატარა, 3-4-კაციან ჯგუფებად იკრიბებოდნენ და მღეროდნენ მშობლიური სოფლის სიმღერებს, რომლებიც მამა-პაპისგან იცოდნენ გადმოცემით; ყოველ აღდგომას დადიოდნენ ჭონაზე...

1975 წელს ქვემო ჭალის კულტურის სახლის დირექტორის, ლერი შულღიაშვილის თაოსნობით შეიქმნა მამაკაცთა ანსამბლი, რომელსაც შემდეგ „ქართლი" დაერქვა. ჯგუფს დაარსების დღიდან ხელმძღვანელობდა ალექსანდრე მენაბდიშვილი – მომღერალი და ლოტბარი, კასპის რაიონის მაშინდელი კულტურის განყოფილების გამგე, შემდგომში ღირსების ორდენის კავალერი; ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ (2004წ.) კი მისი ვაჟი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კურსდამთავრებული ზაქარია (ზაზა) მენაბდიშვილი უდგას სათავეში.

მენაბდიშვილების ეს შტო სიმღერით ყოფილა ცნობილი. ზაზა მენაბდიშვილის ნაამბობის მიხედვით, 1889 წელს კასპში, დიმიტრი და ანა ამილახვრების სასახლეში საშობაოდ ჩატარებულა ზეიმი. მასში მონაწილე მენაბდიშვილების გვარს (ალექსანდრეს წინაპრებს) თავადის ოჯახის წევრები ლამაზი სიმღერით მოუხიბლავს. ძლიერი ხმა ჰქონია ალექსანდრეს პაპას, გიორგი მენაბდიშვილს: ლხინში სიმღერას რომ დაიწყებდა, ხმა სოფლის ბოლოში გადიოდაო. მენაბდიშვილებმა გადმოცემით იციან, რომ მათი სამოსახლო ადგილ-მამული ამილახვარმა გიორგის საუკეთესო სიმღერისთვის აჩუქა.

უკვე 70-იანი წლების ბოლოსთვის ანსამბლი ახალი წევრებით შეივსო. მას შეემატნენ: სერგო და რობერტ გახელაძეები, ლადო ბახუაშვილი, გოგი სანაღელი, ნიკოლოზ კლიმიაშვილი.

შემატებულთა შორის ზოგიერთისა წინაპრებიც მღეროდნენ. ამ მხრივ საყურადღებოა ანსამბლის უხუცესი წევრის, 82 წლის რობერტ გახელაძის ინფორმაცია, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის არა მარტო მის წინაპრებზე, არამედ ქვემო ჭალის სამუსიკო ყოფასა და ტრადიციებზე. იგი გვიამბობს: „პაპაჩემი, სოლომონ გახელაძე და მისი ძმები – ივანე (სესიკა) და მათე – სოფელში განსაკუთრებით პატივცემულები იყვნენ, რადგან ქართლ-კახურ სიმღერებს უბადლოდ ასრულებდნენ. მათი მაყრობის გარეშე არც ქალს გაათხოვებდა ვინმე და არც რძალს მოიყვანდა. იმ დროს ერთმანეთს ეპაექრებოდნენ სიმღერაში – ერთი მხარის მაყრები რომ დაამთავრებდნენ, მოწინააღმდეგეებს გადასძახებდნენ, „ალავერდი თქვენთანა ვართო" და ასე გრძელდებოდა, ვიდრე რომელიმე მხარეს სიმღერა არ შემოელეოდა. პაპაჩემები კი სულ გამარჯვებულები გამოდიოდნენ. აი მაშინ სოლომონი წამოიწყებდა სიმღერას: „არ გეგონოთ გორიჯვრელი/ არცა ვარ კარალელია,/ ნინიკას ბიჭი გახლავარ,/ კილოზე (ე.ი. სიმღერით) ლექსის მთქმელიაო".

რობერტ გახელაძის მამას – ლევანს კასპში მიხეილ კავსაძის ანსამბლში უმღერია. ლევანი და მიხეილი დამეგობრებულები ყოფილან. ერთხელ ლევანს მიხეილი წაუყვანია ქვემო ჭალაში

ქორწილში, რომელსაც თურმე რობერტის პაპებიც ესწრებოდნენ. მათი სიმღერები რომ მოუსმენია, მიხეილს უთქვამს, „მე რას მოგყავდი, მომღერლები აქა გყოლიათო“!

თავად რობერტი მღეროდა სხვადასხვა ანსამბლში, მათ შორის, მარიამ თარხნიშვილის ხელმძღვანელობით...

მისივე გადმოცემით, ქვემოჭალელი სერგო გახელაძე ბრწყინვალედ ასრულებდა საფანდურო სიმღერებს. განსაკუთრებით გამოირჩეოდა „სებრო, სებრო“, რომელიც სოფელში დღემდე სერგოს სახელთან ასოცირდება.

ახალგაზრდა წევრების შემატებამ „ქართლში“ სისტემატური ხასიათი მიიღო. 80-იანი წლების ბოლოს ჯგუფი კიდევ გადახალისდა. მას შეუერთდნენ: ნუკრი გიგოლაშვილი, კახა გახელაძე, ლევან საჩალელი, ზაზა მენაბდიშვილი. 2000-იან წლებში „ქართლში“ მივიდა მეოთხე თაობა: თამაზ ჯლანტიაშვილი, ზურაბ კვარაცხელია, კახა ნონიკაშვილი, ავთანდილ ჩიმახიძე, ლექსო მენაბდიშვილი; 2010 წლიდან კი – ჯემალ ყაზარაშვილი და გიორგი ხასიშვილი.

ანსამბლი მშობლიური კუთხის სიმღერების მოძიებით, შესწავლით და პოპულარიზაციით არის დაკავებული. სწორედ ეს არის მისი მთავარი ღირსება. რეპერტუარში 40-მდე სიმღერაა. სიმღერებს სწავლობენ ხელმძღვანელისა და ხანდაზმული წევრებისგან.

ქართლური, განსაკუთრებით, ადგილობრივი სასიმღერო ტრადიციების შენახვასთან ერთად ჯგუფი მათ გამგრძელებლადაც გვევლინება, რადგან უკვე რამდენიმე თაობას ითვლის. რაც მთავარია, სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები აქ გვერდიგვერდ მღერიან. ასეთი მემკვიდრეობითობა კი მეტად მნიშვნელოვანია ამ ტრადიციების ასაღორძინებლად...

„ქართლი“ აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას ეწევა და შედეგიანადაც: იგი სახალხო ფოლკლორული ანსამბლია; მონაწილეობდა შიდა ქართლის სამხარეო დელფიადებსა და რესპუბლიკურ კონკურსებში, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ ჩატარებულ ფოლკლორის ეროვნულ ფესტივალებში (2005-2006, 2015-2016), რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებში, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გამართულ საღამოებსა და ლექცია-კონცერტებში („კავსაძეების საღამო“, „მარო თარხნიშვილის საღამო“, „ქართლური მუსიკის საღამო“); დაჯილდოებულია სიგელებითა და დიპლომებით, არის ლაურეატი საქართველოს ფოლკლორის ეროვნული დათვალიერება-ფესტივალისა (2005-2006).

2009 წლის 27 ნოემბერს „ქართლის“ რეპერტუარი ხმის ჩამწერი სტუდიით კასპში დავაფიქსირეთ.

აქვე აღვნიშნავ, რომ 1980 და 1982 წლებში ქვემო ჭალაში ეთნომუსიკოლოგმა ედიშერ გარაყანიძემ იმუშავა. კასპის რაიონში მისი ფოლკლორისტული ექსპედიციების აუდიოჩანაწერები ინახება თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის არქივში. იმ დროს ადგილობრივებს უმღერიათ: „გუთნის ოროველა“; „ურმული“; „ძერი ეგო“; „გლესამ, გაგლესამ, ნამგალო“; „მკის მუშური“; „ჭონა“; „ლაზარე“; „იავნანა“; „ნანა“; „თებროლე“; „იმა მთაზედა“; „შავლეგო“; „ჰერმან“; „ჩაუხტეთ და ჩაუხტეთ“; „წაიყვანეს თამარ-ქალი“; „გაფრინდი, შაო მერცხალო“; „ბერიკაცი ვარ“; „მრავალჟამიერი“; „ტურფავ, მოდი“; „წუთისოფელმა“; „აგერ, მორბიან ქალები“; ასევე – მრავალი საფანდურო სიმღერა (მათ შორის, შაირები). შემსრულებლები ყოფილან: ნინა ალიბეგაშვილი, გოგუცა ბათილაშვილი, ვანო გუთაშვილი, თინა და ცაცო გორჯოლაძეები, ოსე ისერგიშვილი, შალვა სისაური.

2010 წლის 24 სექტემბერს ოსე ისერგიშვილის ჩასაწერად ქვემო ჭალაში ჩავედით. გვმეგზურობდნენ ადგილობრივი კულტურის სახლის დირექტორი – ლერი შელღიაშვილი და ანსამბლ „ქართლის“ ხელმძღვანელი – ზაზა მენაბდიშვილი. ჩაწერა ისერგიშვილების ოჯახში მიმდინარეობდა. ვმუშაობდით მინიდისკით. ჩვენდა სასიხარულოდ, 88 წლის ოსეს სიმღერაში ჩაერთო მისი 90 წლის და – ნადია ისერგიშვილი-ზარიძე.

2009 და 2010 წლების ჩანაწერებზე ვმუშაობდით: ნატალია ზუმბაძე (ჩანაწერების ხელმძღვანელი), არჩილ ბურჭულაძე (ხმის რეჟისორი), ენა პატარიძე (ვიდეო და ფოტოოპერატორი), თემურ ყანჩაველი (მძღოლი). 2016 წელს წინამდებარე დისკის გამოცემისთვის საჭირო ფოტოების გადასაღებად ქვემო ჭალას და ისერგიშვილების ოჯახს კიდევ ერთხელ ვესტუმრეთ, ამჯერად – მე და გოგა მექვაბიშვილი (ფოტოოპერატორი).

კომპაქტდისკზე წარმოდგენილ ჩანაწერებში ანსამბლი „ქართლი“ მღერის შემდეგი შემადგენლობით: რობერტ გახელაძე (დაბ. 1934წ.), ნუკრი გიგოლაშვილი (დაბ. 1949წ.), ზურაბ კვარაცხელია (დაბ. 1983წ.), ზაზა მენაბდიშვილი (დაბ. 1959წ.), კახა ნონიკაშვილი (დაბ. 1972წ.), გოგი საჩალელი (დაბ. 1942წ.), ლევან საჩალელი (დაბ. 1965წ.), ავთანდილ ჩიმახიძე (დაბ. 1955წ.), თამაზ ჯლანტიაშვილი (დაბ. 1977წ.).
სიმღერებში ბანს ამბობს ჯგუფის ყველა წევრი, სოლისტების გარდა.

1. **ურმული.** მღერის ალექსანდრე მენაბდიშვილი.
2. **სებრო, სებრო.** ფანდურზე უკრავს და მღერის სერგო გახელაძე.
3. **ავთანდილ გადინადირა.** სოლისტები: რ. გახელაძე, თ. ჯლანტიაშვილი.
4. **მრავალჟამიერი.** სოლისტები: რ. გახელაძე, ზ. მენაბდიშვილი.
5. **თებრონე მიდის წყალზედა.** სოლისტები: ზ. მენაბდიშვილი, თ. ჯლანტიაშვილი.
6. **გოგიასა.** სოლისტები: რ. გახელაძე, გ. საჩალელი.
7. **დათო, დათუნა.** სოლისტები: გ. საჩალელი, ზ. კვარაცხელია.
8. **ჩონგურო.** სოლისტები: რ. გახელაძე, ზ. მენაბდიშვილი.
9. **იმავ მთაზედა.** სოლისტები: გ. საჩალელი, თ. ჯლანტიაშვილი.
10. **თოხნური.** სოლისტები: რ. გახელაძე, ზ. მენაბდიშვილი.
11. **ფარინე.** სოლისტები: IV კუპლეტის ჩათვლით – თ. ჯლანტიაშვილი (დამწყები), ქ. ნონიკაშვილი, ზ. კვარაცხელია (მაღალი ხმები); V კუპლეტიდან – ზ. კვარაცხელია (დამწყები), თ. ჯლანტიაშვილი, ზ. მენაბდიშვილი (მაღალი ხმები). ფანდურზე უკრავს ქ. ნონიკაშვილი.
12. **იავნანა.** სოლისტები: რ. გახელაძე, ზ. მენაბდიშვილი.
13. **ჩაუხტეთ და ჩაუხტეთ.** სოლისტები: გ. საჩალელი, თ. ჯლანტიაშვილი.
14. **ნამგლური.** სოლისტები: რ. გახელაძე, ზ. კვარაცხელია.
15. **მე, რეგვენმა პატარძალმა.** სოლისტები: რ. გახელაძე, ზ. მენაბდიშვილი.
16. **არხარალო.** სოლისტები: გ. საჩალელი, თ. ჯლანტიაშვილი.
17. **არაგვის ხეობაზედა.** სოლისტები: რ. გახელაძე, ზ. მენაბდიშვილი.
18. **იავნანო.** მღერიან ოსე ისერგიშვილი (მთქმელი) და ნადია ისერგიშვილი-ზარიძე (ბანი).
19. **შირაქში ერთმა მეცხვარემ.** ო. ისერგიშვილი (მთქმელი) და ნ. ისერგიშვილი-ზარიძე (ბანი). ფანდურზე უკრავს ო. ისერგიშვილი.
20. **სათამაშო.** ფანდურზე უკრავს ო. ისერგიშვილი.
21. **შაირები.** ფანდურზე უკრავს და მღერის ო. ისერგიშვილი.
22. **ლაზარ მოდგა კარსაო.** ნ. ისერგიშვილი-ზარიძე (მთქმელი) და ო. ისერგიშვილი (ბანი).

**დახმარებისთვის მადლობას ვუხდით:**

– კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობას;
– მალხაზ ერქვანიძეს, დავით უზნაძეს, უჩა პატარიძეს.

**ნატალია ზუმბაძე**

ეთნომუსიკოლოგი
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, სრული პროფესორი



ლერი შუღლიაშვილი (მარცხნივ) და ანსამბლი „ქართლი" (მარცხნიდან მარჯვნივ: ალექსანდრე მენაბდიშვილი, ნიკოლოზ კლიმიაშვილი, ნუკრი გიგოლაშვილი, ლადო ბახუაშვილი, სერგო გახელაძე, გოგი საჩალელი, კახა გახელაძე, ზაზა მენაბდიშვილი). 1997

Leri Shughliashvili (on the left) and ensemble Kartli (from left to right: Aleksandre Menabdishvili, Nikoloz Klimiashvili, Nukri Gigolashvili, Lado Bakhuashvili, Sergo Gakheladze, Gogi Sachaleli, Kakha Gakheladze, Zaza Menabdishvili). 1997



ანსამბლი „ქართლი" და ნატალია ზუმბაძე. 2016

Ensemble Kartli and Natalia Zumbadze. 2016



ანსამბლი „ქართლი" (მარცხნიდან მარჯვნივ: ავთანდილ ჩომახიძე, თამაზ ჯლანტიაშვილი, რობერტ გახელაძე, გოგი საჩალელი, ზაზა მენაბდიშვილი, ლევან საჩალელი, ზურაბ კვარაცხელია, ნუკრი გიგოლაშვილი, კახა ნონიკაშვილი). 2016

Ensemble Kartli (from left to right: Avtandil Chomakhidze, Tamaz Jlantiashvili, Robert Gakheladze, Gogi Sachaleli, Zaza Menabdishvili, Levan Sachaleli, Zurab Kvaratskhelia, Nukri Gigolashvili, Kakha Nonikashvili). 2016



ანსამბლი „ქართლი". 2016
Ensemble Kartli. 2016



ოსე ისერგიშვილი. 2016
Ose Isergishvili. 2016



ნადია ისერგიშვილი-ზარიძე. 2016
Nadia Isergishvili-Zaridze. 2016

The CD presents audio recordings preserved at the State Folklore Centre of Georgia; most of these are performed by the folk ensemble Kartli from the village of Kvemo chala, Kaspi Municipality. Unfortunately, when we recorded the ensemble (Kaspi, 2009) the group's first director Aleksandre Menabdishvili (1930-2004) and leading singer Sergo Gakheladze (1924-2007) had already passed away, they played significant role in the ensemble's creative biography. To fill this gap we have included in the CD the songs *Urmuli* and *Sebro, sebro* recorded by ethnomusicologist Malkhaz Erkvanidze and choir master Davit Uznadze (Kvemo chala, 2000). In order to get better familiarized with the singing traditions of the village, the CD also includes several examples performed by elderly Ioseb (Ose) Isergishvili and Nadia Isergishvili-Zaridze (a brother and sister) from the audio recordings of the State Folklore Centre (Kvemo chala, 2010); the more so that these songs had long been forgotten in Kartli (particularly women's traditional ritual *Iavnano* and *Lazar modga karsao*) are valuable for both performance and research.

The village of Kvemo chala located on the banks of the river Lekhura in Shida Kartli is well-known all over Georgia for its rich chanting past - from here came renowned ecclesiastical figures and chanters the Karbelashvilis, this dynasty preserved one of the Kartli-Kakhetian chant modes (for which it is referred to as the Karbelashvilis' mode/*Karbelaant kilo*). It would be surprising if such a village did not have corresponding folk singing tradition: for song and chant have always been inseparable in Georgian man's life…To this testifies the list of songs performed by the Karbelashvili brothers Andria, Polievktos and Vasil during the celebration held at Skhvilo fortress in 1864: *Qurshao*; *Vintsa katsia*; *Ghighini*; *Gvibrdzane*; *Zamtari*; *Tamar mepe*; *Shavlego*; *Eso meso* and others (Sopio Andghuladze, Bishop Stepane Bodbeli (Vasil Karbelashvili). Tbilisi, 2006).

Singing traditions were still alive in Kvemo chala in the second half of the 20th century; according to the locals, the residents of the village Zakaria and Valodia Zakariashvilis, Tadula and Shota Chekhashvilis, Tsatso Gorjoladze, Ose Isergishvili and others would gather in groups of 3-4 and sing the songs of their native village, which they had known from the ancestors, they would also regularly participate in Chona ritual at Easter...

In 1975 on the initiative of Leri Shughliashvili – then-director of Kvemo chala House of Culture a male ensemble was founded, later named Kartli. Since its inception the group was directed by a singer and choir master Aleksandre Menabdishvili, Head of the Culture Department of Kaspi district at the time, later bearer of the Order of Honour; since Aleksandre's demise in 2004, the ensemble has been directed by his son Zakaria (Zaza) Menabdishvili – an alumnus of Tbilisi State Conservatoire.

This branch of the Menabdishvilis was known for singing. According to Zaza Menabdishvili the Menabdishvilis' (Aleksandre's ancestors) beautiful singing enchanted the noble family at Christmas celebration held at Dimitri and Ana Amilakhvari's palace in Kaspi (1889). Aleksandre's grandfather Giorgi Menabdishvili was known for his powerful voice: when he sang at a party, his voice was heard at the end of the village. The Menabdishvilis know that Amilakhvari gave Giorgi their housing estate for his beautiful singing.

By the late 1970s the ensemble was joined by new members: Sergo and Robert Gakheladzes, Lado Bakhuashvili, Gogi Sachaleli and Nikoloz Klimiashvili.

Ancestors of some new members were also singers. From this standpoint noteworthy is the information provided by the ensemble's eldest member 82-year-old Robert Gakheladze, which helps us have a clear idea not only about his ancestors, but also about the traditions and musical life in Kvemo chala; he tells: "My grandfather Solomon Gakheladze and his brothers – Ivane (Sesika) and Mate were particularly loved in the village for being matchless performers of Kartli-Kakhetian songs. There was no wedding party in the village without them. At the time the bride's and groom's retinues

competed in singing, this continued until one side ran out of songs. My grandfathers were always winners. Then Solomon would sing: "I am neither from Gomjvari/ Nor from Karaleti/ I am Ninika's son/ Telling verses via singing."

Robert Gakheladze's father – Levan was a member of Mikheil Kavsadze's ensemble in Kaspi. Levan and Mikheil were good friends. Once Levan took Mikheil to a wedding party in Kvemo chala, Robert's grandfathers were also at the party, after listening to their singing Mikheil said: "You did not have to bring me, you have true singers here!" Robert himself sang in different ensembles, including the one directed by Mariam Tarkhnishvili...

According to him Sergo Gakheladze from Kvemo chala brilliantly sang songs with panduri accompaniment, particularly *Sebro, sebro*; this song is still associated with Sergo in the village.

Membership of ensemble Kartli was systematically renewed. In the late 1980s it was joined by Nukri Gigolashvili, Kakha Gakheladze, Levan Sachaleli and Zaza Menabdishvili; the 4th generation members: Tamaz Jlantiashvili, Zurab Kvaratskhelia, Kakha Nonikashvili, Avtandil Chimakhidze and Lekso Menabdishvili joined the group in the 2000s, Jemal Qazarashvili and Giorgi Khasishvili – in 2010.

Ensemble Kartli seeks for local folk songs, learns and popularizes them and this is the chief merit of the group. Kartli's repertoire comprises about 40 songs. The group learns songs from the director and elderly members of the ensemble.

The ensemble preserves Kartlian, more precisely local singing traditions and continues them – it already counts several generations of members. What is more important, here different generation members sing side by side. Such continuity is particularly important for the revival of these traditions...

Ensemble Kartli leads active and successful creative life: it is a popular folk ensemble; it participated in regional Delphiad festivals and republican contests, in National Folklore Festivals (2005-2006, 2015-2016) of the State Folklore Centre, evenings and lecture-concerts at Rustaveli and Marjanishvili Drama Theatres, Tbilisi State Conservatoire (Evening of the Kavsadzes, Evening of Maro Tarkhnishvili, Evening of Kartlian music); the ensemble has been awarded with deeds and diplomas, is a laureate of the National Folklore Inspection-Festival (2005-2006).

On 27 November, 2009 the mobile sound recording studio of the State Folklore Centre recorded ensemble Kartli in Kaspi.

It should be mentioned that in 1980 and 1982 ethnomusicologist Edisher Garaqanidze worked in Kvemo chala. The audio recordings of his field expeditions in Kaspi district are preserved at the archive of the Laboratory of Georgian Folk Music at Tbilisi State Conservatoire. This collection includes the following examples sung by the locals: *Gutnis orovela*; *Urmuli*; *Heri ego*, *Glesam, gaglesam, namgalo*; *Mkis mushuri*; *Chona*; *Lazare*; *Iavnana*; *Nana*; *Tebrole*; *Ima mtazeda*, *Shavlego*, *Murman*; *Chatukhtet da chaukhtet*; *Tsaiqvanes tamar kali*; *Gaprindi, shao mertskhalo*; *Berikatsi var*, *Mravalzhamieri*; *Turpav, modi*; *Tsutisopelma*; *Ager, morbian kalebi*; as well as a large number of songs with panduri accompaniment (including comic songs). Among the performers were: Nina Alibegashvili, Gigutsa Batilashvili, Vano Getashvili, Tina and Tsatso Gorjoladzes, Ose Isergishvili, Shalva Sisauri.

On 24 September, 2010 we went to Kvemo chala to record Ose Isergishvili; we were guided by Leri Shughliashvili – Head of local House of Culture and Zaza Menabdishvili – director of ensemble Kartli. The material was recorded on a minidisc at the Isergishvilis' house. To our delight Nadia Isergishvili-Zaridze (aged 90) joined her brother Ose's (aged 88) singing.

The team which worked on the recordings in 2009 and 2010 included: Natalia Zumbadze (leader of the recording sessions); Archil Burchuladze (sound engineer); Ucha Pataridze (cameraman and photographer); Temur Qanchaveli (driver). To take the photos necessary for this publication I went to Kvemo chala again in 2016 together with Goga Mekvabishvili (photographer) and visited the Isergishvilis.

The examples presented on the CD are performed by ensemble Kartli with the following membership: Robert Gakheladze (born 1934); Nukri Gigolashvili (born 1949); Zurab Kvaratskhelia (born 1983); Zaza Menabdishvili (born 1959); Kakha Nonikashvili (born 1972); Gogi Sachaleli (born 1942); Levan Sachaleli (born 1965); Avtandil Chimakhidze (born 1955) and Tamaz Jlantiashvili (born 1977).

All the members of the group sing bass except for the soloists.

1. **Urmuli.** Aleksandre Menabdishvili.
2. **Sebro, sebro.** Sergo Gakheladze sings and plays the *panduri*.
3. **Avtandil gadinadira.** Soloists: R. Gakheladze and T. Jlantiashvili.
4. **Mravalzhamieri.** Soloists: R. Gakheladze and Z. Menabdishvili.
5. **Tebrone midis tsqalzeda.** Soloists: Z. Menabdishvili and T. Jlantiashvili.
6. **Gogiasa.** Soloists: R. Gakheladze and G. Sachaleli.
7. **Dato, datuna.** Soloists: G. Sachaleli and Z. Kvaratskhelia.
8. **Chonguro.** Soloists: R. Gakheladze and Z. Menabdishvili.
9. **Imav mtazeda.** Soloists: G. Sachaleli and T. Jlantiashvili.
10. **Tokhnuri.** Soloists: R. Gakheladze and Z. Menabdishvili.
11. **Parine.** Soloists including verse IV: T. Jlantiashvili (*damtsqebi*), K. Nonikashvili and Z. Kvaratskhelia (top voices), from verse V: Z. Kvaratskhelia (*damtsqebi*), T. Jlantiashvili and Z. Menabdishvili (top voices). K. Nonikashvili plays the *panduri*.
12. **Iavnana.** Soloists: R. Gakheladze and Z. Menabdishvili.
13. **Chaukhtet da chaukhtet.** Soloists: G. Sachaleli and T. Jlantiashvili.
14. **Namgluri.** Soloists: R. Gakheladze and Z. Kvaratskhelia.
15. **Me, regvenma patardzalma.** Soloists: R. Gakheladze and Z. Menabdishvili.
16. **Arkharalo.** Soloists: G. Sachaleli and T. Jlantiashvili.
17. **Aragvis kheobazeda.** Soloists: R. Gakheladze and Z. Menabdishvili.
18. **Iavnano.** Ose Isergishvili (*mtkmeli*) and Nadia Isergishvili-Zaridze (bass).
19. **Shirakshi ertma metskhvarem.** O. Isergishvili (*mtkmeli*) and N. Isergishvili-Zaridze (bass). O. Isergishvili plays the *panduri*.
20. **Satamasho.** O. Isergishvili plays the *panduri*.
21. **Shairebi.** O. Isergishvili sings and plays the *panduri*.
22. **Lazar modga karsao.** N. Isergishvili-Zaridze (*mtkmeli*) and O. Isergishvili (bass).

**For their kind assistance we would like to express our gratitude to:**

- Kaspi Municipality Assembly and Administration;
- Malkhaz Erkvanidze, Davit Uznadze, Ucha Pataridze.

**Natalia Zumbadze**
Ethnomusicologist
Doctor of Arts, Full Professor